

# საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი (2020 წლის აპრილი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2020 წლის აპრილის თვეში.

## საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №515

2020 წლის 6 აპრილს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №515-ით დამტკიცდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ზოგიერთ მომსახურებათა/ქმედებათა განხორციელების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებულ წესები. აღნიშნული წესის მიხედვით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიეცა უფლება მიიღოს/დაარეგისტრიროს და დაიწყოს სააღსრულებო წარმოება სააღსრულებო ფურცლის/აღსრულების ქვემდებარე აქტის დედნის გარეშე, რომელიც წარდგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით. კრედიტორს/განმცხადებელს მიეცეს უფლება სააღსრულებო წარმოების დაწყების მიზნით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით დადგენილი აღსრულების ქვემდებარე აქტები და ამავე კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარადგინოს მოქალაქის პორტალის [my.gov.ge](http://my.gov.ge) ან/და [info@nbe.gov.ge](mailto:info@nbe.gov.ge) ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ბრძანების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე საიდენტიფიკაციო კოდით: 120060030.22.027.017011.

ეს ბრძანება მოქმედებს მისი გამოქვეყნებიდან „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მოქმედების დასრულებამდე.

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2020 წლის 10 აპრილს ცვლილება შევიდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში, რომლის შესაბამისადაც ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს რამდენჯერმე, იმ პირობით, რომ საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს საბაჟო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ 10-წლიან ვადას, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“.

მე-7 პუნქტის შემდეგ კი დაემატა შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში არ მოქმედებს დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევის საერთო ვადის საქართველოს საბაჟო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი 10-წლიანი შეზღუდვა, თუ აღნიშნული საქონელი გამოიყენება:

- ა) ქვეყნისთვის სტრატეგიული პროექტის განსახორციელებლად;
- ბ) მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად;
- გ) მნიშვნელოვანი სოციალური პროექტის განსახორციელებლად;
- დ) სასწავლო-სამეცნიერო მიზნით.“.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №521

2020 წლის 15 აპრილს საქართველოს იუსტიციის მინისტრის N521 ბრძანებით დამტკიცდა „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების წესებისა და პირობები“. აღნიშნული ბრძანება განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) საქმიანობის ადმინისტრირების, აგრეთვე მის მიერ გაწეული მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებულ წესებსა და პირობებს.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მოქმედების ვადით.

## საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

2020 წლის 23 აპრილს ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელის მიხედვითაც კოდექსს დაემატა შემდეგი შინაარსის 359<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი 359<sup>1</sup>. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ან/და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა (მათ შორის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა, თუ ეს წესი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის ნაწილია), ჩადენილი ასეთი ქმედების ჩადენისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული ან/და ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლევ პირის მიერ,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე, თუ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით, თუ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით სხვა რამ არ არის დადგენილი.“.

კანონი ამოქმედდა 2020 წლის 2 მაისს.

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2020 წლის 28 აპრილს ცვლილება შევიდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილების მიხედვით მე-6 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად გამოცხადებული ახალი კორონავირუსის (COVID-19) საფრთხის შემცირებამდე და მისი შემცირების შემდგომ ევროკომისიის სათანადო შეტყობინების მიღებამდე, 2014 წლის 27 ივნისის „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ და „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2016 წლის 27 ივნისის შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობის მიზნით, „პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ“ რეგიონული კონვენციის I და II დანართების შესაბამისად გაცემული პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 შესაძლებელია წარდგენილ იქნეს დეკლარანტის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული ასლის სახით, ამ ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად – ელექტრონულად ან მატერიალური ფორმით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პერიოდის გასვლის შემდგომ, დეკლარანტი ვალდებულია, ასლის სახით წარდგენილი პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1-ის ორიგინალი, მოთხოვნისამებრ, წარუდგინოს საბაჟო ორგანოს.“.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №511

2020 წლის 29 აპრილს ცვლილება შევიდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საქმიანობისა და ნოტარიუსთა მიერ მომსახურების წესებისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 31 მარტის №511 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილების თანახმად „ბ“ ქვეპუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ბ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტი:

ბ<sup>2</sup>) სანოტარო მომსახურების მიღება ხორციელდება „ცოცხალი რიგის“ პრინციპით. დაუშვებელია რიგის თანმიმდევრობის დარღვევა. მომხმარებელი, რომელიც რაიმე მიზეზით გამოაკლდება რიგს, მოსახურების მისაღებად თავიდან უნდა დაიკავოს ადგილი რიგში. ასევე დაუშვებელია ნებისმიერი სიის წარმოება რიგში მომხმარებლის ჩაწერის ან/და რიგის მართვის მიზნით. დროებითი ბიუროების მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვასა და სანოტარო მომსახურების მისაღებად მომხმარებელთა რიგის ამ ქვეპუნქტის შესაბამისად მოწესრიგებას/მართვას უზრუნველყოფს აღსრულების პოლიცია. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესის მომხმარებლებისათვის პერიოდულად, ზეპირად გაცნობას უზრუნველყოფს აღსრულების პოლიცია, ხოლო რიგის გასწვრივ, იმ შენობის ფასადზე შესაბამისი საინფორმაციო ფურცლის დროებით განთავსებას, რომელშიც დროებითი ბიურო ფუნქციონირებს, – პალატა;“;

„ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ნ) დროებითი ბიუროს სამუშაო საათები განისაზღვრება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით (გარდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მიხედვით განსაზღვრული უქმე დღეებისა), 8.00 საათიდან 18.00 საათამდე. აღსრულების პოლიცია ზედამხედველობს ნოტარიუსის მიერ დროებითი ბიუროს 18.00 საათზე დახურვას და ტერიტორიას ტოვებს ნოტარიუსის შემდეგ.“

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №518

2020 წლის 29 აპრილს ცვლილებები შევიდა „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს

მომსახურებისა და საქმიანობის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 9 აპრილის №518 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებებით პირველ რიგში დაზუსტდა ბრძანების პირველი პუნქტით იმ მომსახურებების ჩამონათავალი, რომლის განხორციელების უფლებაც აქვს საგანგებო მდგომარეობის პერიოდში. გარდა ამისა ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. სააგენტო უფლებამოსილია ელექტრონულად მიიღოს განცხადებები ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ე“, „თ“ და „ლ“-„ფ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მომსახურებაზე, როდესაც ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა განმცხადებლისა და განცხადების მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებას და განმცხადებლის იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება შესაძლებელია სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის გამოყენებით.“;

გ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> პუნქტი:

„21. უცხო სახელმწიფოში გასაგზავნად განკუთვნილი, საქართველოში გაცემული დოკუმენტების ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმებისას ან ლეგალიზაციას ან აპოსტილით დამოწმებას დაქვემდებარებული ქართულენოვანი დოკუმენტების უცხო ენაზე თარგმნისას პირმა შესაბამისი დოკუმენტები სააგენტოში უნდა გააგზავნოს მატერიალური ფორმით, ფოსტის მეშვეობით.“;

ცვლილებების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე საიდენტიფიკაციო კოდით: 120160030.22.027.017020.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.